

2024



შპს „გლობალ ცბს“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	16
5. ძირითადი საშუალებები	17
6. მარაგები	18
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	18
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
10. საგადასახადო აქტივები, წმინდა / საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	19
11. შემოსავალი	19
12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	19
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	19
14. მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	20
15. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება / (ზარალი)	20
16. მოგების გადასახადის ხარჯი	20
17. პირობითი ვალდებულებები	20
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
19. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუა. 21	
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21

მმართველობის ანგარიშგება	22
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გლობალ ცბს“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტიზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გლობალ ცბს“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავესწარიტ აღნიშნული მარაგების ინვენტარიზაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან ჩვენ არ დავნიშნულვართ აუდიტორებად 2024 წლამდე. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების არსებობასა, სისრულისა და მდგომარეობის შესახებ, რაც გავლენას ახდენს 2024 წლის ოპერაციების ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაზე. აღნიშნული მარაგები მონაწილეობენ 2024 წლის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფორმირებაში. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანარი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წამოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვვრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ღუდუშაური (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

21 ნოემბერი 2025

თბილისი, საქართველო

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ღუდუშაური (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

21 ნოემბერი 2025

თბილისი, საქართველო



2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	606,793	482,894
არამატერიალური აქტივები		13,403	13,403
სულ გრძელვადიანი აქტივები		620,196	496,297
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	3,685,457	2,173,920
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	10,553,652	7,869,203
გადახდილი ავანსები		307,471	113,470
საგადასახადო აქტივი, წმინდა	10	31,618	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	897,736	2,537,773
სულ მიმდინარე აქტივები		15,475,934	12,694,366
სულ აქტივები		16,096,130	13,190,663
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	1,121,342	618,884
მიღებული ავანსები		45,136	20,670
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	10	-	17,216
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,166,478	656,770
სულ ვალდებულებები		1,166,478	656,770
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		14,929,652	12,533,893
სულ კაპიტალი		14,929,652	12,533,893
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,096,130	13,190,663

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

შამიმ შავლ,

თეა ქობულაშვილი,

თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი 2025თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	606,793	482,894
არამატერიალური აქტივები		13,403	13,403
სულ გრძელვადიანი აქტივები		620,196	496,297
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	3,685,457	2,173,920
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	10,553,652	7,869,203
გადახდილი ავანსები		307,471	113,470
საგადასახადო აქტივი, წმინდა	10	31,618	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	897,736	2,537,773
სულ მიმდინარე აქტივები		15,475,934	12,694,366
სულ აქტივები		16,096,130	13,190,663
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	1,121,342	618,884
მიღებული ავანსები		45,136	20,670
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	10	-	17,216
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,166,478	656,770
სულ ვალდებულებები		1,166,478	656,770
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		14,929,652	12,533,893
სულ კაპიტალი		14,929,652	12,533,893
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,096,130	13,190,663

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

შამიმ შავლ,

თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი 2025

ფინანსური მენეჯერი

თეა ქობელაშვილი,

თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	11	18,551,105	13,335,441
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(4,876,255)	(3,024,007)
საერთო მოგება		13,674,850	10,311,434
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(3,442,202)	(3,104,061)
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	14	(2,852,559)	(2,384,629)
საოპერაციო მოგება		7,380,089	4,822,744
ფინანსური შემოსავალი		35,136	33,319
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	8	(59,152)	(56,112)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		40,503	2,624
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(20,057)	(106,414)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	16	(24,126)	(33,451)
მოგება დაბეგრვამდე		7,352,393	4,662,710
მოგების გადასახადის ხარჯი	17	(731,341)	(430,361)
წლის წმინდა მოგება		6,621,052	4,232,349
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		6,621,052	4,232,349

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

შამიმ შავლ,

თეა ქობულაშვილი,

თბილისი, საქართველო

თბილისი, საქართველო

21 ნოემბერი 2025

21 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	11	18,551,105	13,335,441
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(4,876,255)	(3,024,007)
საერთო მოგება		13,674,850	10,311,434
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(3,442,202)	(3,104,061)
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	14	(2,852,559)	(2,384,629)
საოპერაციო მოგება		7,380,089	4,822,744
ფინანსური შემოსავალი		35,136	33,319
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	8	(59,152)	(56,112)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		40,503	2,624
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(20,057)	(106,414)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	16	(24,126)	(33,451)
მოგება დაბეგრვამდე		7,352,393	4,662,710
მოგების გადასახადის ხარჯი	17	(731,341)	(430,361)
წლის წმინდა მოგება		6,621,052	4,232,349
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		6,621,052	4,232,349

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

შამიმ შავლი

თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი 2025

ფინანსური მენეჯერი

თეა ქობულაშვილი,

თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)*

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	10,711,824	10,711,824
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	4,232,349	4,232,349
გადახდილი დივიდენდები	(2,410,280)	(2,410,280)
2023 წლის 31 დეკემბერი	12,533,893	12,533,893
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	6,621,052	6,621,052
გადახდილი დივიდენდები	(4,225,293)	(4,225,293)
2024 წლის 31 დეკემბერი	14,929,652	14,929,652

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

შამიმ შავლ,

თეა ქობულაშვილი,

თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი 2025თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	10,711,824	10,711,824
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	4,232,349	4,232,349
გადახდილი დივიდენდები	(2,410,280)	(2,410,280)
2023 წლის 31 დეკემბერი	12,533,893	12,533,893
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	6,621,052	6,621,052
გადახდილი დივიდენდები	(4,225,293)	(4,225,293)
2024 წლის 31 დეკემბერი	14,929,652	14,929,652

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

შამიმ შავლ,

თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი 2025



ფინანსური მენეჯერი

თეა ქობელაშვილი,

თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი 2025


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		7,352,393	4,662,710
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	123,657	93,952
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	15	24,126	33,451
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	7	59,152	56,112
ფინანსური შემოსავალი		(35,136)	(33,319)
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
ზრდა / (შემცირება) - სავაჭრო და სხვა მოთხოვნების	7	(2,743,601)	404,805
ზრდა - გადახდილი ავანსების		(194,001)	6,654
ზრდა / (შემცირება) - მარაგების	6	(1,511,537)	(848,167)
შემცირება / (ზრდა) - სავაჭრო და სხვა ვალდებულებების	9	447,924	(38,625)
შემცირება / (ზრდა) - მიღებულ ავანსებში		24,466	(22,423)
შემცირება / (ზრდა) - წმინდა საგადასახადო ვალდებულებებში	10	(48,834)	(65,385)
მიღებული პროცენტი		35,136	33,319
გადახდილი მოგების გადასახადი	16	(731,341)	(430,361)
წმინდა ფულადი ნაკადების მიღება საოპერაციო საქმიანობიდან		2,802,404	3,852,723
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	5	(266,369)	(47,238)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	5	18,813	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(1,496)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(247,556)	(48,734)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(4,225,293)	(2,410,280)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(4,225,293)	(2,410,280)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		(1,670,445)	1,393,709
სავალუტო კურსის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		30,408	(35,288)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვარს		2,537,773	1,179,352
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს		897,736	2,537,773

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

შამიმ შავლ,

თეა ქობელაშვილი,

თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი 2025თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		7,352,393	4,662,710
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	123,657	93,952
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	15	24,126	33,451
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	7	59,152	56,112
ფინანსური შემოსავალი		(35,136)	(33,319)
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
ზრდა / (შემცირება) - სავაჭრო და სხვა მოთხოვნების	7	(2,743,601)	404,805
ზრდა - გადახდილი ავანსების		(194,001)	6,654
ზრდა / (შემცირება) - მარაგების	6	(1,511,537)	(848,167)
შემცირება / (ზრდა) - სავაჭრო და სხვა ვალდებულებების	9	447,924	(38,625)
შემცირება / (ზრდა) - მიღებულ ავანსებში		24,466	(22,423)
შემცირება / (ზრდა) - წმინდა საგადასახადო ვალდებულებებში	10	(48,834)	(65,385)
მიღებული პროცენტი		35,136	33,319
გადახდილი მოგების გადასახადი	16	(731,341)	(430,361)
წმინდა ფულადი ნაკადების მიღება საოპერაციო საქმიანობიდან		2,802,404	3,852,723
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	5	(266,369)	(47,238)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	5	18,813	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(1,496)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(247,556)	(48,734)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(4,225,293)	(2,410,280)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(4,225,293)	(2,410,280)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		(1,670,445)	1,393,709
სავალუტო კურსის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		30,408	(35,288)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვარს		2,537,773	1,179,352
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს		897,736	2,537,773

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

შამიმ შავლ,

თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი 2025

ფინანსური მენეჯერი

თეა ქობელაშვილი,

თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი 2025

9-21 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***1. ძირითადი საქმიანობა****(ა) კომპანია და მისი ოპერაციები**

„გლობალ ცბს“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში „კომპანია“), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2015 წლის 6 მარტს შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით: 402011327. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზირი N62, სართული 3 საოფისე ფართი.

შპს გლობალ ცბს-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული პროდუქციით. კომპანია თავის საქმიანობას ძირითადად ეწევა საქართველოში, ასევე აქვს ექსპორტი.

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიის დირექტორი არის შამილ შავლ.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა მდგომარეობით კომპანიის 50% წილის მფლობელი არის შამილ შავლ, ინდოეთის მოქალაქე და 50% წილის მფლობელი რუმისი შამიმ, ინდოეთის მოქალაქე.

(ბ) ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი**(ა) შესაბამისობის განაცხადი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2024 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი (GEL, ლ), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 GEL / 1 USD	2.8068	2.6894
1 GEL / 1 EURO	2.9306	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების

ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)****ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება. თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	არ ერიცხება
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ერიცხება
სატრანსპორტო საშუალებები	5
მანქანა-დანადგარები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორცაა:

- კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახდო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

15% მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადანაგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულებს. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამისი საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გადახდილი ავანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი. წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელის შემოსვლა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებდა, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებდა, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანიას არ აქვს საწესდებო კაპიტალის შენატანები. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან. შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოძინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

კომპანია შემოსავლებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ფულადი ნაკადების ან შემოსავლებთან დაკავშირებული დარიცხული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, რაშიც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გაცემული ფასდათმობები. კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღიარდება პროდუქციის რეალიზაციისთანავე. პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად ხდება საბითუმოდ.

კომპანიის გაყიდვების პოლიტიკის მიხედვით პროდუქტის რეალიზაციის მომენტში მასზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, კომპანია მომხმარებელს ასევე პროდუქტის უკან დაბრუნების უფლებას აძლევს, რაც ძირითადად ვადაგაუსლი პროდუქციის შემთხვევაში ხდება. უკან დაბრუნებული პროდუქციის ღირებულებით მცირდება კომპანიის შემოსავალი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები
- წლიური ფასიანი შევსება და ბიულეტენის ანაზღაურება
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

იჯარა**საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე**

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებებს ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც. სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანია ახდენს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების ასახვას მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო არამაკორექტირებელ მოვლენებს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ამჟღავნებს ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***4. მნიშვნელოვანი საარღიჯხო შეფასებები და დაშვებები**

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების გაუფასურება ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების მიმდინარე ვადები ზემოთ მე-3 შენიშვნაშია მოცემული.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად გადახედავს ფინანსურ აქტივებს გაუფასურებასთან მიმართებაში. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით, კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება ფინანსური აქტივების გაუფასურების, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურებას მოგება-ზარალში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალეზადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	124,908	12,181	18,113	338,244	-	4,672	120,866	20,779	639,763
შემოსვლა	-	-	-	13,500	1,977	6,289	21,148	4,324	47,238
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	124,908	12,181	18,113	351,744	1,977	10,961	142,014	25,103	687,001
შემოსვლა	-	-	-	213,522	16,766	-	29,918	6,163	266,369
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	(20,667)	-	-	(13,791)	-	(34,458)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	124,908	12,181	18,113	544,599	18,743	10,961	158,141	31,266	918,912
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება									
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1,376)	-	(46,356)	-	-	(52,272)	(10,151)	(110,155)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	(3,712)	-	(66,350)	(384)	-	(20,336)	(3,170)	(93,952)
გასვლის/ჩამოწერის მომენტში	-	-	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(5,088)	-	(112,706)	(384)	-	(72,608)	(13,321)	(204,107)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	(1,798)	-	(94,377)	(1,801)	-	(21,817)	(3,864)	(123,657)
გასვლის/ჩამოწერის მომენტში	-	-	-	10,277	-	-	5,368	-	15,645
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(6,886)	-	(196,806)	(2,185)	-	(89,057)	(17,185)	(312,119)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	124,908	7,093	18,113	239,038	1,593	10,961	69,406	11,782	482,894
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	124,908	5,295	18,113	347,793	16,558	10,961	69,084	14,081	606,793

კომპანიის სრულად გაცვეთილი და მოხმარებაში მყოფი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 34,274 ლარს (2023: 0 ლარი)

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მედიკამენტები	3,685,457	2,173,920
სულ მარაგები	3,685,457	2,173,920

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	10,835,679	8,092,078
გაუფასურების რეზერვი	(282,027)	(222,875)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,553,652	7,869,203

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებებთან.

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გაუფასურების რეზერვი 1/1/2022	166,763
წლის დარიცხვა	73,642
ამობრუნება	(17,530)
გაუფასურების რეზერვი 31/12/2022	222,875
წლის დარიცხვა	89,480
ამობრუნება	(30,328)
გაუფასურების რეზერვი 31/12/2023	282,027

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტების 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	779,181	2,183,571
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	109,435	350,249
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	9,120	3,953
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	897,736	2,537,773

ფული და ფულის ეკვივალენტები ბანკში არის მოთხოვნამდე. მოთხოვნამდე საბანკო ბალანსები განთავსებული იყო “BB-“ რეიტინგის მქონე ბანკში ფიჩის რეიტინგის მიხედვით.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულება უცხოელი მომწოდებლების მიმართ	1,062,564	602,546
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	52,672	9,004
სავაჭრო და სხვა ვალდებულება ქართველი მომწოდებლების მიმართ	6,106	7,334
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,121,342	618,884

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას მარაგების მომწოდებლების და სერვისების მომწოდებლების მიმართ კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებისთვის იხილეთ შენიშვნა 20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის მიმდინარე და წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებებს.

10. საგადასახადო აქტივები, წმინდა / საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა

საგადასახადო ვალდებულებები და საგადასახადო აქტივები წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს წმინდა საგადასახადო ვალდებულება.

11. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	18,886,348	13,782,661
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა	(335,243)	(447,220)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	18,551,105	13,335,441

კომპანიას შემოსავალი აქვს მედიკამენტების რეალიზაციიდან, რომელიც ხდება დროის კონკრეტულ მომენტში.

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
გაყიდული შეძენილი საქონელი	4,780,960	2,812,942
სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება	127,834	179,457
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	42,007	31,608
უკან დაბრუნება და ფასდათმობა	(74,546)	-
სულ რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	4,876,255	3,024,007

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	2,386,223	2,253,425
იჯარის ხარჯი	220,331	202,055
ცვეთა და ამორტიზაცია	123,657	93,952
საგადასახადო ხარჯი	62,759	53,884
მივლინების ხარჯი	31,204	49,228
ოფისის ხარჯი	57,023	53,384
მედიკამენტების ხარჯი	44,720	25,616
მარკეტინგის ხარჯი	26,442	13,711
სხვა ხარჯი	489,843	358,806
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	3,442,202	3,104,061

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები

კომპანიის მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	2,852,559	2,384,629
სულ მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	2,852,559	2,384,629

15. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება / (ზარალი)

კომპანიის კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება / (ზარალი) 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(24,126)	(33,451)
	(24,126)	(33,451)

	2024	2023
არარეალიზებული საკურსო შემოსავალი/ზარალი	30,408	(35,288)
რეალიზებული საკურსო შემოსავალი/ზარალი	(54,534)	1,837
სულ ზარალი/მოგება საკურსო სხვაობიდან	(24,126)	(33,451)

	2024	2023
საკურსო ზარალი/მოგება ფული და ფულის ექვივალენტებიდან	30,408	(35,288)
საკურსო ზარალი/მოგება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებიდან	(54,534)	1,837
	(24,126)	(33,451)

16. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი დარიცხულია გატანილ დივიდენდებზე 2024 წელს 731,341 ლარის ოდენობით. (2023: 430,361 ლარი).

17. პირობითი ვალდებულებები**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**სასამართლო დავები**

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტრიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნა		
რუმისა შამიმ	9,960	1,882
შამიმ შავლი	-	-
სავაჭრო ვალდებულება		
რუმისა შამიმ	-	5,000
შამიმ შავლი	52,672	4,000
შრომის ანაზღაურება		
რუმისა შამიმ	900,495	900,990
შამიმ შავლი	869,621	908,955
იჯარის ხარჯი		
რუმისა შამიმ	47,306	47,306

19. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

(ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ 2025 წლის 27 თებერვალს გამოუშვა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მესამე გამოცემა, რომლის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული ცვლილებები არ იქონიებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 21 ნოემბერს.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარე.

შპს „გლობალ ცბს“

ს/კ 402011327

მის: საქართველო, თბილისი,
ნაძალადევის რაიონი, დ.
გურამიშვილის გამზირი N62,
სართული 3 საოფისე ფართი.



“Global” CBS LLC

IN: 402011327

Address: Georgia, Tbilisi, Nadzaladevi
district, D. Guramishvili Avenue N62,
3rd floor office space.

შპს „გლობალ ცბს“
2024 წლის
მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

„გლობალ ცბს“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში „კომპანია“), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2015 წლის 16 მარტს შემდეგი ნომრით: 402011327.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზირი N62, სართული 3 საოფისე ფართი.

კომპანიის დირექტორი არის შამილ შავლ.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა მდგომარეობით კომპანიის 50% წილის მფლობელი არის შამილ შავლ, ინდოეთის მოქალაქე და 50% წილის მფლობელი რუმისი შამიმ, ინდოეთის მოქალაქე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული პროდუქციით. კომპანია თავის საქმიანობას ძირითადად ეწევა საქართველოში, ასევე აქვს ექსპორტი.

კომპანიის ძირითად მიზანს წარმოადგენს ის რომ მიაწოდოს ხარისხიანი ჯანდაცვის პროდუქტები ხელმისაწვდომ ფასებში.

ბაზრის მიმოხილვა და კომპანიის ადგილი

კომპანია «გლობალ ცბს» წარმოადგენს საშუალო ზომის იმპორტიორ საბითუმო ფარმაცევტულ კომპანიას საქართველოს ბაზარზე

კომპანია «გლობალ ცბს»-ს გამორჩეულობას ბაზარზე უზრუნველყოფს:

- კომპანიის სტაბილურობა და საიმედოობა;
- ბიზნესის მართვაში თანამედროვე ინსტრუმენტებისა და სტანდარტების დანერგვა;
- კომპანიის გამართული შიდა მენეჯმენტი;
- პროდუქციით უწყვეტი მომარაგება მთელი საქართველოს მასშტაბით;
- სტაბილური ფასები;
- კრეატიული მარკეტინგის დეპარტამენტი ეფექტური მერჩანდაიზინგის სამსახურით;
- ინდივიდუალურად ჩვენს კომპანიაზე მორგებული პროგრამული უზრუნველყოფები;
- მაღალი კომპეტენციის პროფესიონალური სამედიცინო წარმომადგენლების სამსახური;
- უცხოელ პარტნიორებთან მრავალწლიანი ურთიერთობის გამოცდილება;
- ხანგრძლივი და სტაბილური ურთიერთობის გამოცდილება ადგილობრივ წამყვან სამედიცინო, ფარმაცევტულ და საცალო გაყიდვის კომპანიებთან;

ყველა ეს ფაქტორი ერთობლიობაში განაპირობებს „გლობალ ცბს“-ს წინსვლასა და წარმატებას.

კომპანიის ხედვა და მიზნები, განვითარების გეგმები

კომპანიის «გლობალ ცბს-ს» მიზანია მომხმარებლებთან გრძელვადიანი პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

ჩვენ ერთ-ერთ მთავარ მოვალეობად ვთვლით, რომ მომხმარებელი იყოს უკეთ გათვითცნობიერებული. ამისათვის, მომხმარებლებს ვაწვდით მეტ ინფორმაციას შესაბამის მედიკამენტებზე, ვცდილობთ მოსახლეობისთვის სამეცნიერო სიახლეების გაცნობას და მუდმივად ინოვაციური პროდუქტების დანერგვას ჩვენ ბაზარზე.

რისკების შემცირების მიზნით, კომპანიის სტრატეგია გულისხმობს როგორც მომწოდებლების ასევე გაყიდვის წერტილების დივერსიფიცირებას.

კომპანიას მიაჩნია, რომ უნდა იყოს მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან ურთიერთობაში პატიოსანი და ეთიკური პარტნიორი. იგი თვლის, რომ წარმატება და კმაყოფილება მოაქვს მხოლოდ ბიზნეს ეთიკის პრინციპების დაცვით საქმიანობას და პროფესიონალიზმის, პატიოსნებისა და სამართლიანობის უმაღლესი დონის შენარჩუნებას.

კომპანიის წარმოდგენით მისი წარმატების მთავარი საფუძველი არის თანამშრომელთა მოტივირებული გუნდი და სწორი კორპორატიული კულტურა.

თითოეული თანამშრომელი ვალდებულია პასუხისმგებლობით მოეკიდოს თანამშრომლების, კლიენტების და საზოგადოების მოთხოვნებს.

კომპანიაში მიაჩნიათ, რომ ყველა ერთად ქმნის წარმატებას.

კომპანიას მიაჩნია, რომ ტოპ-მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის განვითარების მთლიანი სურათის დანახვაზე, თანამშრომლებისთვის კომფორტული სამუშაო რეჟიმის შექმნაზე და ხელფასების ზუსტად და დროულად გაცემაზე.

შპს „გლობალ ცბს“-ს საქმიანი კავშირები დაფუძნებულია პროფესიულ, კოლეგიალურ და არადისკრიმინაციულ პრინციპებზე, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთხელშეწყობაზე.

კომპანიის კორპორაციული კულტურა გულისხმობს, რომ ყველა აღიქვამდეს თავს სრულფასოვან თანამშრომლად, რომ იყოს ეფექტური გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების შესაძლებლობა, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი დელეგირება, რომ იყოს სიახლეებისა და ცვლილებებისადმი სწრაფად ადაპტირების საშუალება, რომ თითოეული თანამშრომელი გრძნობდეს სამართლიანობას, რომ არ იყოს პრივილეგირებული თანამშრომელი და რომ კომპანიაში არსებობდეს პროფესიული სრულყოფის, კარიერული და ფინანსური წინსვლის საშუალება.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ აქვს ფილიალები.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიაში დანერგილია თანამშრომელთა უწყვეტი განვითარების პროგრამა, რაც გულისხმობს თანამშრომელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, შესაბამის არსებულ და ახალ მედიკამენტებზე ანოტაციების და მახასიათებლების გაცნობა სწორი რეალიზაციის მიზნით.

კომპანიის ზრდა-განვითარებასთან ერთად ხდება, არსებული კონტროლის და მართვის სისტემების ანალიზი და ახალ მოცემულობებთან შესაბამისობისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

კომპანიის სტრუქტურა და კომპანიაში დასაქმებულები

კომპანია „გლობალ ცბს-ს“ სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიას აქვს საწყობი თბილისში, გლდანის ნაძალადევი თ.ერისთავის ქუჩა N5 დისტრიბუციას მთელი საქართველოს მასშტაბით.

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 91-ს.

კომპანიის ყველა დასაქმებული პირი დაზღვეულია სს სადაზღვეო კომპანია „არდი“-ში, რისთვისაც კომპანია ყოველთვიურად იხდის განსაზღვრულ თანხას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის საანგარიშო პერიოდში წლის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 18,551,105 ლარი, წმინდა მოგება შეადგინა 7,380,089 ლარი.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში წლის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 13,335,441 ლარი, წმინდა მოგება შეადგინა 4,822,744 ლარი.

კომპანიის რენტაბელობის მაჩვენებლები შემდეგია:

	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	74%	77%
წმინდა მოგების მარჟა	40%	32%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	13.27	19.32
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	10.11	16.01
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	1.66	1.73

რისკების ანალიზი

საკუპრო რისკები

მედიკამენტების ფასის ზრდა მომწოდებლების მიერ - მედიკამენტების ფასის ზრდა გამოიწვევს მომგებიანობის შემცირებას რაც დაკასირებულია დამატებით ფინანსურ რისკებთან.

გასაყიდ პროდუქციაზე ფასის ვარდნა -პროდუქციაზე ფასის შემცირება გამოიწვევს მომგებიანობის შემცირებას, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ რისკებთან.

კომერციული რისკი

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო პროდუქციის მოწოდების შეჩერება უცხოელი მომწოდებლებისაგან

ამ მიზნით კომპანია ახდენს საწყობში მარაგების ოპტიმიზაციას და შესაძლო რისკებთან მიმართებაში საჭირო სხვა ღონისძიებებს.

სტრატეგიული რისკი

დაგეგმილი ზრდა მოითხოვს მნიშვნელოვანი ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას, რომლის დეფიციტიც არის ბაზარზე. რესურსებზე ხელმიუწვდომლობა შეაფერხებს გეგმების რეალიზებას.

ამ მიზნით კომპანიის მენეჯმენტის მიზანია მუდმივი ოპტიმიზაცია, ინსტიტუციონალური ზრდის უზრუნველყოფა, რესურსების წყაროების დივერსიფიკაცია.

ფინანსური რისკი

ფინანსურ რისკებს შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია:

- ნაღდი ფულადი სახსრების დეფიციტი
- სავალუტო რისკები
- ამ რისკების შესამცირებლად, კომპანია აწარმოებს საბიუჯეტო პოლიტიკას, აუმჯობესებს დაგეგმარებას და ხარჯების კონტროლს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერად ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი / შამიმ შავლ

თბილისი, საქართველო

21 ნოემბერი 2025

კომერციული რისკი

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო პროდუქციის მოწოდების შეჩერება უცხოელი მომწოდებლებისაგან

ამ მიზნით კომპანია ახდენს საწყობში მარაგების ოპტიმიზაციას და შესაძლო რისკებთან მიმართებაში საჭირო სხვა ღონისძიებებს.

სტრატეგიული რისკი

დაგეგმილი ზრდა მოითხოვს მნიშვნელოვანი ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას, რომლის დეფიციტიც არის ბაზარზე. რესურსებზე ხელმიუწვდომლობა შეაფერხებს გეგმების რეალიზებას.

ამ მიზნით კომპანიის მენეჯმენტის მიზანია მუდმივი ოპტიმიზაცია, ინსტიტუციონალური ზრდის უზრუნველყოფა, რესურსების წყაროების დივერსიფიკაცია.

ფინანსური რისკი

ფინანსურ რისკებს შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია:

- ნაღდი ფულადი სახსრების დეფიციტი
- სავალუტო რისკები
- ამ რისკების შესამცირებლად, კომპანია აწარმოებს საბიუჯეტო პოლიტიკას, აუმჯობესებს დაგეგმარებას და ხარჯების კონტროლს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერად ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი / შამიმ შავდ

თბილისი, საქართველო

21 ნოემბერი 2025



da. Bryan Caplan. 5 Jan.
21/11/2025.